სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ლელა მარიდაშვილის* შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	✓

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**24**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**23**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**18**	**20**
პროფესიული თვისებები	**15**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**9**	**10**
პროფესიული აქტივობა	**0**	**5**
ქულათა ჯამი	**89**	**100**

სახელი, გვარი: ლევანი თევზაძე
თარიღი : 16.09.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევანი თევზაძე

2024 წლის 16 სექტემბერი **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **ლელა მარიდაშვილის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, მოსამართლეთა 17 ვაკანტურ თანამდებობაზე, მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა **ლელა მარიდაშვილი.**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 3 სექტემბერს, ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კანდიდატი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე, შეეფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 და მე-16 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

კანდიდატი 57 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1991 წელი). სპეციალობით მუშაობს 33 წელია, კერძოდ:

- 1991-1993 წლები - სამშენებლო ორგანიზაცია „საქბინრემპროექტი“ - იურისკონსულტი;

- 1993-1994 წლები - კინოსტუდია „ქართული ფილმი“ - იურისკონსულტი;

- 1994-1995 წლები - საქართველოს ადვოკატთა კოლეგია - საბურთალოს რაიონის ადვოკატურა - სტაჟიორი;

- 1995-2005 წლები - საქართველოს ადვოკატთა კოლეგია - საბურთალოს რაიონის ადვოკატურა - ადვოკატი;

- 2005-2006 წლები - საქართველოს ადვოკატთა გაერთიანება „ქომაგი“ - ადვოკატი;

- 2006-2017 წლები - საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია - ასოციაციის წევრი ადვოკატი;

- 2017- 2021 წლები - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

- 2021-2023 წლები - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

- 2023-2024 წლები - იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი და კურსდამთავრებული.

კანდიდატის შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის

სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

კანდიდატ ლელა მარიდაშვილის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მისი საქმიანობის თაობაზე. კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელით. 2018 წლის ნოემბერი – 2024 წლის ივლისი – პოლიტიკური პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" წევრი.

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, მცირედი ჯარიმებით. კანდიდატის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონება: ბინა, 66 მ² ფართით, თბილისში. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია მის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2021 წლის 24 ივლისიდან 2024 წლის 24 ივლისის ჩათვლით: ლელა მარიდაშვილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიან საინფორმაციო ბანკში არ ერიცხება.

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში კანდიდატ ლელა მარიდაშვილის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია არ არსებობს; კანდიდატი არ ყოფილა ცნობილი დაზარალებულად რომელიმე საქმეში; მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება არ განხორციელებულა.

კანდიდატს არ წარმოუდგენია სამართლებრივი პუბლიკაცია ან ნაშრომი.

ლელა მარიდაშვილი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 77/15
- რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 15.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, *ადმინისტრაციულ სამართალში* სემინარული მუშაობისას წარმოაჩინა კარგი თეორიული ცოდნა. იგი იცნობს მოქმედი კანონმდებლობის მნიშვნელოვან დებულებებს, ასევე, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას. თეორიულ ცოდნას სათანადოდ იყენებს პრაქტიკაში. აღსანიშნავია მის მიერ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოვლენა სემინარებისას ჩატარებულ იმიტირებულ სასამართლო პროცესებზე. *სამოქალაქო სამართალში*

სემინარული მუშაობისას წარმოაჩინა როგორც თეორიული, ისე სასამართლო პრაქტიკის ცოდნა. მიუხედავად იმისა, რომ მისი საგამოცდო მიმართულება სისხლის სამართალი იყო, იგი კარგად იცნობდა საუკეთესო სასამართლო პრაქტიკას და სამოქალაქო სამართლის აქტუალური საკითხების ნორმათა ინტეგრაციას სამოსამართლეო სამართალში. შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, რაც ნათლად გამოვლინდა პრაქტიკული დავალებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების პროექტების შედგენისას. მან შესანიშნავი სამოსამართლეო უნარ-ჩვევები გამოავლინა რელაციის მეთოდით სამოქალაქო დავათა დამუშავებასა და გადაწყვეტილების მიღების ტექნიკაშიც. *სისხლის სამართალში* სემინარული მუშაობისას გამოავლინა მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის ცოდნის მაღალი დონე. კარგად იცნობს სასამართლო პრაქტიკას, ასევე კარგად იყენებს გადაწყვეტილებების დასაბუთების სტანდარტებს და გააჩნია სასამართლო პროცესის წარმართვის სათანადო უნარები.

ლელა მარიდაშვილს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ტრენინგსა თუ სასწავლო კურსში (მაგ: „სამეწარმეო სამართალი", „ადვოკატთა პროფესიული ეთიკა", „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ფსიქოლოგია და არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკა", „ვადები და ხანდაზმულობა სამოქალაქო სამართლის პროცესში", „ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი", „სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთება სისხლის სამართლის საქმეებზე" და ა.შ.)

ლელა მარიდაშვილს ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, ასევე პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

კანდიდატი ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

3. *კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:*

კანდიდატს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე - სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები იყო სწორი, თანმიმდევრული და არგუმენტირებული.

4. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ოთხივე მახასიათებლის (სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატისათვის): ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი, ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა და დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - მოთხოვნებს, თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია.

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ:

კანდიდატს, როგორც მოქალაქეს აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის მაღალი შეგნება, კეთილსინდისიერება, პატიოსნება, ორგანიზებულობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას).

<u>შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის" მახასიათებელს.</u>

კანდიდატს აქვს უნარი დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება და საქმეს არ მიუდგეს წინასწარ შექმნილი განწყობებით. არის პრინციპული, მედეგი ზეგავლენის მიმართ, სამართლიანი, მიუკერძოებელი და აქვს პიროვნული სიმტკიცე.

<u>შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის" მახასიათებელს.</u>

კანდიდატი არის კორექტული კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილია, შეუძლია საკუთარი ემოციების მართვა, ამდენად, ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი

სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის ქცევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/სამართლებრივი რეალობის ადეკვატური.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული ქცევის" მახასიათებელს.

კანდიდატი გამოირჩევა მაღალი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით, ამ დასკვნის გამაქარწყლებელი, ასევე - მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის" მახასიათებელს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მივიჩნიე, რომ კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებელს აკმაყოფილებს, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით საფუძველზე მივედი იმ დასკვნამდე, რომ **კანდიდატი ლელა მარიდაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

5. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-3 პუნქტი) და იუსტიციის უმაღლესი სკოლის შეფასების ანალიზიდან გამომდინარე, გაირკვა:

კანდიდატს გააჩნია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის სიღრმისეული ცოდნა. ამასთან, კანდიდატის საჯარო მოსმენისას დასმული კითხვების სირთულის გათვალისწინებით, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლის ნორმების ცოდნის" მახასიათებლის მიხედვით, შევაფასე **24 ქულით (მაქსიმალური -25);**

კანდიდატს აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება, მრავალწლიანი პრაქტიკა, საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებს ხსნის სწრაფად, კონცენტრირებულად და მიზანმიმართულად, შეუძლია მიღებული გადაწყვეტილების ლოგიკური დასაბუთება, მაღალი კომპეტენციის ფარგლებში.

აღნიშნული გარემოებების (ხარვეზის) გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **23 ქულით (მაქსიმალური - 25 ქულა);**

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, ლელა მარიდაშვილს შესწევს უნარი საქმის რთული გარემოებები და სამართლებრივი მსჯელობა გასაგები ენით გადმოსცეს და მნიშვნელოვანზე გაამახვილოს ყურადღება, ასევე წერილობითი დოკუმენტი ხედმიწევნით და შინაარსობრივად სწორად ჩამოაყალიბოს. გადაწყვეტილებების პროექტების წერისას საქმის გარემოებებს აფასებდა სწორად, აზრს აყალიბებდა გამართულად, თუმცა შეინიშნებოდა პუნქტუაციური და სტილისტური შეცდომები. კანდიდატს აქვს გამართული ზეპირი მეტყველების და თავისი აზრის დამაჯერებლად ჩამოყალიბების უნარი, აქვს მოსმენის კულტურა, მეტყველებს გამართული ქართულით და ყურადღებას ამახვილებს მნიშვნელოვან საკითხებზე.

აღნიშნული გარემოებების 18 გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **18 ქულით, (მაქსიმალური - 20 ქულა);**

კანდიდატი არის კვალიფიციური, პუნქტუალური, შრომისმოყვარე, მიზანდასახული, აქვს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და მენეჯერული უნარ-ჩვევები, თავს არიცხევს სტრესულ სიტუაციებს.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე 3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული თვისებების" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **15 ქულით (მაქსიმალური 15 ქულა);**

კანდიდატის მონაწილეობა აქვს მიღებული პროფესიული წვრთნის არაერთ პროგრამაში, არის ღია სიახლეების მიმართ, აქვს საოფისე კულტურა და ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. არ ეწევა სამეცნიერო საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **9 ქულით (მაქსიმალური 10 ქულა).**

კანდიდატი არ მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში. არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ი" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული აქტივობის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 0 ქულით (მაქსიმალური 5 ქულა).

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, კანდიდატს ვანიჭებ 89 ქულას.

ლევანი თევზაძე